

THE CORRESPONDENCE OF NIKOLAI DURNOVO WITH ARCHPRIEST IOSEB
CHIJEVADZE

ნიკოლაი დურნოვოს წერილები დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის სახელზე

GVANTSA BURDULI

Doctor of History,
ST. ANDREW THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY
OF THE PATRIARCHATE OF GEORGIA
Georgia, Tbilisi, 53a Chavchavadze Ave.
ORCID:0000-0001-8657-3683
g.burduli@sangu.edu.ge
+995555999685

Abstract. The 19th–20th centuries represent one of the most controversial and tragic periods in the history of the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia. While this period has been extensively studied in Georgian historiography, it is particularly compelling when examined through the perspective of non-Georgian scholars and thinkers. A notable figure in this regard is the historian and philologist Nikolai Durnovo, whose name is primarily associated with his work *The Fate of the Georgian Church*. Less known to the scholarly community is the fact that between 1906 and 1917, Durnovo maintained a correspondence with Archpriest Ioseb Chijavadze concerning the problems facing the Georgian Church at that time and a range of related issues.

This study is based on archival documents preserved in the personal fund of Kirion II at the National Archives of Georgia and aims to analyze and introduce Durnovo's correspondence with Ioseb Chijavadze to a wider audience. Analysis of the archival materials reveals that Durnovo's interest in the Georgian Church was not limited to the question of autocephaly; he consistently followed the internal developments within the Church and the political realities, including the election of the Catholicos-Patriarch of the Apostolic Church of Georgia.

The study employs historical-comparative and source-critical analytical methods. The findings reveal N. N. Durnovo as a rare example of a Russian scholar who, against the backdrop of criticism of imperial ecclesiastical policy, impartially sought to defend the historical rights of the Georgian Church and the interests of its clergy. This circumstance gives Durnovo's legacy particular significance for the study of Georgian Church history and ecclesiastical-political thought.

Keywords: N. N. Durnovo, Archpriest Ioseb Chijavadze, Autocephaly of the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia.

გვანცა ბურდული

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 53ა

ORCID:0000-0001-8657-3683

g.burduli@sangu.edu.ge

+995555999685

აბსტრაქტი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ და ტრაგიკულ ეტაპს XIX–XX საუკუნეები წარმოადგენს. აღნიშნული პერიოდი ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალმხრივად შესწავლილი, თუმცა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამ პერიოდის შეფასება არაქართველი მკვლევარებისა და მოაზროვნეების მიერ. ამ მხრივ გამორჩეული ფიგურაა ისტორიკოსი და ფილოლოგი ნიკოლაი დურნოვო, რომლის სახელიც უმთავრესად ნაშრომს „ქართული ეკლესიის ბედი“ უკავშირდება. სამეცნიერო საზოგადოებაში ნაკლებად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ 1906-1917 წლებში ნიკოლაი დურნოვოსა და დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძეს შორის არსებობდა მიმოწერა, რომელიც იმ დროს საქართველოს ეკლესიაში არსებულ პრობლემებსა და მთელ რიგ საკითხებს მოიცავდა.

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება საქართველოს ეროვნულ არქივში კირიონ მეორის პირად ფონდში დაცულ საარქივო დოკუმენტებს და მიზნად ისახავს ნიკოლაი დურნოვოსა და იოსებ ჩიჯავაძის მიმოწერის გააზრებას და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. საარქივო მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ დურნოვოს ინტერესი საქართველოს ეკლესიისადმი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხით; იგი თანმიმდევრულად აკვირდებოდა ეკლესიის შიგნით მიმდინარე მოვლენებს და პოლიტიკურ რეალობას, მათ შორის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხსაც.

კვლევის შედეგად იკვეთება ნიკოლაი დურნოვოს, როგორც რუსი მეცნიერის იშვიათი მაგალითი, რომელიც იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის კრიტიკის ფონზე მიუკერძოებლად ცდილობდა დაეცვა საქართველოს ეკლესიის ისტორიული უფლებები და სამღვდელოების ინტერესები. აღნიშნული გარემოება დურნოვოს მემკვიდრეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს ეკლესიისა და საეკლესიო-პოლიტიკური აზრის ისტორიის კვლევისათვის.

საკვანძო სიტყვები: ნიკოლაი დურნოვო, დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია.

შესავალი. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე იყო. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ეკლესიაში მოღვაწეობდნენ ისეთი სასულიერო პირები, რომლებმაც თავიანთი წარუშლელი კვალი დატოვეს ისტორიაში. ასეთ

სასულიერო პირების რიცხვს არ ჩამორჩებოდა იოსებ ჩიჯავაძეც. დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძეს, როგორც არაერთ ქართველ სასულიერო პირს, მეტად რთულ დროს მოუწია მოღვაწეობა. იოსებ ჩიჯავაძე იმ ქართველ სასულიერო პირთაგანია, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიაში. სამწუხაროდ, დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება, თითქმის არ არსებობს სამეცნიერო გამოკვლევა დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძისა და ნიკოლაი დურნოვოს მიმოწერის შესახებ. მღვდელი იოსებ ჩიჯავაძის შესახებ ფასდაუდებელი მასალები საქართველოს საპატრიარქოს არქივშია დაცული, ასევე საინტერესო და საყურადღებო ცნობები მოგვეპოვება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის პირად არქივში. იოსებ ჩიჯავაძის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების აღდგენაში დიდი წვლილი შეიტანა ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა ცაცა ჩხარტიშვილმა. იოსებ ჩიჯავაძე წერილებს აქვეყნებდა გაზეთ „სიტყვაში“, რომლის რედაქტორიც თავად იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა სასულიერო პირმა ცხოვრების რთული გზა გაიარა, მისი მთავარი საზრუნავი მშობლიური ეკლესიისთვის წართმეული ავტოკეფალიის დაბრუნება იყო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლაში იგი მოგვევლინა ისეთი სასულიერო პირების გვერდით, როგორებიც იყვნენ - კირიონი (სამაგლიშვილი), ანტონი (გიორგაძე), ლეონიდე (ოქროპირიძე), ამბროსი (ხელაია), ქრისტეფორე (ციციშვილი), ნიკიტა თალაკვაძე, კალისტრატე ცინცაძე და სხვანი. მიუხედავად მათ შორის აზრთა სხვადასხვაობისა და ზოგჯერ უთანხმოებისა, თითოეულ მათგანს აერთიანებდა და ერთმანეთთან აკავშირებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენის სურვილი. ამავე სურვილით იყო გამსჭვალული ნიკოლაი დურნოვოც, ეს მის ნაშრომში „ქართული ეკლესიის ბედი“ ღიად გაცხადდა. მარტივი ცხოვრების გზა არც რუს მეცნიერსა და მკვლევარს ჰქონდა გავლილი.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ისტორიულ-შედარებით და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და სინთეზის მეთოდს.

დისკუსია და შედეგები. XX საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარის, ნიკოლაი დურნოვოს მხარდაჭერით, ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებმა, ეპისკოპოსების - კირიონის, ლეონიდეს, ანტონის, დეკანოზების - კალისტრატე ცინცაძის, ნიკიტა თალაკვაძის, ამბროსი ხელაიას მეთაურობითა და წინამძღოლობით დაიწყეს ბრძოლა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენისთვის (ვარდოსანიძე, 2001: 12). საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის კირიონ მეორის პირად ფონდში დაცულია ნიკოლაი დურნოვოს წერილები, რომლებიც იოსებ ჩიჯავაძის სახელზეა გაგზავნილი. წერილები ადგილ-ადგილ არ იკითხება, თითქოს გარკვეულ ადგილებში აზრიც დაუსრულებელია, მაგრამ მაინც ნათლად ასახავს და ეხმიანება 1906 წლიდან საქართველოში დაწყებულ ავტოკეფალისტურ

მოდრაობას. ნ. ნ. დურნოვოს წერილებიდან ერთი რამ ცხადია, რომ ის ღიად თანაუგრძნობდა საქართველოს ეკლესიას და ამავე დროს მეგობრად და სანდო პირად მოიაზრებდა იოსებ ჩიჯავაძეს. ქართველი სასულიერო პირი კირიონ მეორის თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. უცხოეთში გადასახლებულ ეპისკოპოს კირიონს, სამშობლოში მიმდინარე ამბებს აქტიურად ატყობინებდა მამა იოსებ ჩიჯავაძე, ასე აქტიურად ატყობინებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ იოსებ ჩიჯავაძე ნიკოლაი დურნოვოს. სწორედ ამიტომ, მათი პირადი მიმოწერა ბევრ ძვირფას და საინტერესო ცნობას შეიცავს. აღნიშნული წერილებიდან საყურადღებოა რამდენიმე მათგანი, კერძოდ: დურნოვოს მიერ იოსებ ჩიჯავაძის სახელზე გაგზავნილი შემდეგი წერილი: „ქრისტე აღსდგა! გილოცავთ, პატივცემულო იოსებ, წმინდა ქრისტეს დღესასწაულს და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ. ზაფხულში, როცა მ. ტიფ. იქნება, ვეცდები სინოდში რამე გავაკეთო თქვენთვის... პლატონის არ მესმის. ხომ არ შეგიძლიათ როგორმე მოინახულოთ იგი და დაელაპარაკოთ, თუნდაც ჩემი სახელით... უნდა გავიგოთ, რა ჩაიფიქრა მან სოხუმის სადგურზე, რას ფიქრობენ ქართველები. რატომ არ ჩადის ქართული დეპუტაცია. მაისის დასაწყისში მე გავემგზავრები სოფელში, პეტროგრადიდან ბევრნი მელოდებიან და მაშინ დეპუტაციის ჩამოსვლა უკვე აზრს მოკლებული იქნება. მიდით „ამიერკავკასიის სიტყვაში“ (გაზეთის გამომცემლობა - გ. ბ.), დაელაპარაკეთ რედაქტორს და სხვებს, რა გავაკეთოთ. სოხუმის სადგურზე მე მივწერე პეტროგრადის გამომცემლობას" (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1458, აღწერა #1, საქმე 90, ფურცელი 29). ნიკოლაი დურნოვოს აღნიშნული წერილი წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს, რომელიც ნათლად ასახავს XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო-პოლიტიკურ პროცესებს და რუსეთის ეკლესიის დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიისადმი. დოკუმენტი იძლევა შესაძლებლობას, გაანალიზდეს არა მხოლოდ კონკრეტული პირთა ურთიერთობა, არამედ იმპერიული ეკლესიური მმართველობის მექანიზმები. წერილში განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ეგზარქოსის პლატონის სახელის ხსენება, რომლის ქმედებები თავად დურნოვოსთვისაც გაუგებარი ჩანს. „პლატონის არ მესმის" - ეს ფრაზა მიუთითებს სასულიერო პირთა შორის არსებულ შესაძლო შიდა დამაბულობასა და უთანხმოებაზე, აგრეთვე იმაზე, რომ ადგილობრივი საეკლესიო პირები ხშირად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, რაც ცენტრისთვის პრობლემურ გარემოებას წარმოადგენდა. არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია დურნოვოს კიდევ ერთი წერილი, რომელიც ნათლად ასახავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე დამაბუღ და წინააღმდეგობით სავსე ეტაპს, როდესაც საეკლესიო საკითხი საბოლოოდ გადაიზარდა ღია პოლიტიკურ და პერსონალურ დაპირისპირებაში. ნიკოლაი დურნოვო წერილში საკმაოდ ღიად აკრიტიკებს ლვოვს ფრაზით - „მხოლოდ ღმერთის ნებით ვიტყვი, ლვოვი არარაობაა შეზღუდული აზროვნებით. მაგრამ რას ვიზამთ?" (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1458, აღწერა #1, საქმე 90, ფურცელი 30). დურნოვოს ასეთი ტონი მკვეთრად კრიტიკულია და ემოციურად დამუხტული. 1917 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების განსამუხტავად იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. შეიქმნა დროებითი მთავრობა ჯერ მიხეილ როდიანკოს, ხოლო შემდეგ თავად გიორგი ლვოვის

თავმჯდომარეობით, ცხადია, რომ დურნოვოს ამგვარი შეფასება გიორგი ლვოვს ეკუთვნის. რუსეთის იმპერიაში 1917 წელს განხორციელებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა შექმნა გარემო, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესი. შექმნილი ვითარებით ერთ-ერთმა პირველმა სწორედ ქართველმა სამღვდელთაგანმა ისარგებლა, რაც ნათლად გამოიხატა 1917 წლის 25 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის უძველეს საკათედრო ტაძარში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით. სვეტიცხოველში საზეიმო ღვთისმსახურებას გურია-ოდიშის მღვდელმთავარი ლეონიდე ოქროპირიძე უძღვებოდა. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ავტოკეფალიის აღდგენა გააზრებული იყო როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიული კანონზომიერების აღდგენის პროცესი და შეფასებული იქნა როგორც „საქართველოს დაქვრივებული ეკლესიის განახლებული ცხოვრების" დასაწყისი. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს ეკლესიაში დასრულდა საეგზარქოსო მმართველობა და საეკლესიო ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც გულისხმობდა საეკლესიო კრების მოწვევას (საეკლესიო საქმეების მოწყობის მიზნით) და საბოლოოდ კათოლიკოს-პატრიარქის არჩევას. მკითხველისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, რომ 1917 წლისთვის საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად ლეონიდე ოქროპირიძე მიიჩნეოდა, რომელიც ამ დროს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის ხელმძღვანელი იყო. ვითარება შეიცვალა კირიონ სამაგლიშვილის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. კირიონის თანამოაზრეებსა და მომხრეებს სრულიად მართებულად მიაჩნდათ მისი სამშობლოში დაბრუნება და საკათოლიკოსო ტახტის მოსაყრდებობისათვის კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში მონაწილეობის მიღება. კირიონის ფიგურა მათთვის მხოლოდ ეკლესიური ავტორიტეტის მატარებელი არ იყო; იგი განიხილებოდა როგორც ავტოკეფალიის აღდგენის პროცესის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებდა დურნოვოც, რომელიც მამა იოსებს ღიად სწერდა: „კირიონი და დავითი უნდა დაბრუნდნენ საქართველოში და რაც შეიძლება მალე. კირიონი იყოს ჩვენთვის პ[ლატონის] შემცვლელი სამთავრისის მიტროპოლიტის წოდებაში" (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1458, აღწერა №1, საქმე 90, ფურც. 31). ნათელია, რომ დურნოვო პლატონის (პლატონ როჟდესტვენსკი საქართველოს ეგზარქოსი 1915–1917 - გ. ბ.) პოტენციურ შემცვლელად სწორედ კირიონს მოიაზრებდა და მის სამშობლოში დაბრუნებას განსაკუთრებულ, სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. დურნოვოს ეს დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა. კირიონი მისთვის წარმოადგენდა ქართველ საზოგადოებაში და საეკლესიო წრეში იშვიათი ავტორიტეტის ადამიანს. ამასთანავე, დურნოვო სრულად აცნობიერებდა იმ სირთულეებს, რომლებიც საქართველოში კირიონის აქტიურ მონაწილეობას აუცილებლად მოჰყვებოდა. მისთვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო, რომ კირიონის წინააღმდეგ უკვე არსებობდა გარკვეული ჯგუფი. ამას ცხადყოფს მისი შემდეგი შენიშვნა: „...გამოუშვებს ახალ ცილისწამებას კირიონზე" (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1458, აღწერა #1, საქმე 90, ფურცელი 32). აღნიშნული ფრაზა მიუთითებს, რომ დურნოვო წინასწარ ელოდა არა მხოლოდ იდეურ დაპირისპირებას, არამედ მიზანმიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელიც კირიონის ავტორიტეტის შერყევას ისახავდა მიზნად.

დასკვნა. წარმოდგენილი კვლევა ადასტურებს, რომ ნიკოლაი დურნოვოსა და დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის მიმოწერა განსაკუთრებული მრავალშრიანი წყაროა, რომელიც არა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ მოვლენებსა და ავტოკეფალიის აღდგენის პროცესს აშუქებს, არამედ გვეხმარება უშუალოდ შევხვით ავტორის განცდებს. „ძალიან დიდი ხანია თქვენგან, ღრმადპატივცემულო იოსებ, წერილები არ მიღია. სულ დაკავებული ხართ იმ ძალის დამხობით, რომლის, როგორც გადმოცემენ მოსკოვის მეუფის სიტყვებს, „დამლევა და დამხობა ძნელია“ (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1458, აღწერა #1, საქმე 90, ფურცელი 34). აღნიშნული ფრაზა წარმოადგენს არა მხოლოდ პირად უკმაყოფილებას, არამედ გამოხატავს დურნოვოს გააზრებულ ხედვას იმ სისტემური წინააღმდეგობის სიძლიერის შესახებ, რომლის წინაშეც იდგა ავტოკეფალისტური მოძრაობა. ამავდროულად, მისი შეფასება „ყველაფერი ჩამოიშალა და არსაიდან შუქი არ ჩანს“ (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1458, აღწერა #1, საქმე 90, ფურცელი 35) ხაზს უსვამს იმ ეპოქის სტრუქტურულ-პოლიტიკურ კრიზისს და იმედგაცრუებას, რომელიც ბუნებრივად თან სდევდა პროცესების არასტაბილურობას და შიდა დაპირისპირებებს. დურნოვოს ეპისტოლარული მემკვიდრეობა გვამღევეს შესაძლებლობას, ავტოკეფალიის აღდგენის პროცესი დავინახოთ არა მხოლოდ როგორც ეკლესიურ-იურიდიული აქტი, არამედ როგორც ადამიანური, ემოციური და ინტელექტუალური დაპირისპირებით სავსე ისტორიული პროცესი. აღნიშნული წერილები მნიშვნელოვნად აფართოებს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კვლევის წყაროთმცოდნეობით ბაზას და ნათლად წარმოაჩენს იმ სირთულეებსა და წმინდა ადამიანურ განცდებს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას წინ უძღოდა.

დამოწმებული საარქივო მასალა და ლიტერატურა

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი #1458, აღწერა #1, საქმე 90
 ჩხარტიშვილი, ც. (2013). „დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე წერილები კირიონ მეორისადმი“, თბილისი
 ვარდოსანიძე, ს. (2001). „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“, თბილისი


REFERENCES


Sakartvelos erovnuli arkivis saistorio tsentraluri arkivi, pondi #1458, aghts'era #1, sakme 90


Chkhartishvili, Ts. (2013). „Dekanozi Ioseb Chijavadze ts'erilebi Kirion Meorisadmi“, Tbilisi

Vardosanidze, S. (2001). Sergo Vardosanidze, „Sakartvelos martlmadidebeli samotsikulo ek'lesia 1917-1952 ts'lebshi“, Tbilisi.

დანართი N1







36 ~~33~~

А. В.!

Тромение не мады -
 ზამბ, მოქემო შერბ
 როგორცაბაობოქო სეფ
 მათქვეყანის. სუგაბ
 ჯებ. ზურ. ს. 8 მაგრა ბე
 სიბ., ეო სურმაცხა
 ბეცქი, მურობა
 მედუნაო, ემო ბე
 რუ ბე. რიე ნაქუა
 გუმირა ზობოგობა
 სუფ დაბე ნაქუა
 ზო სიმოდ ე ნეო ბე
 რე ბე სუგო ზუაბ,
 მურობა. ბობოგობა
 ს. ანობის ზო სე
 ს. როგორცა ბა
 სუფ, ემო ეო სურ
 ბე სურმაცხა ეო. 14.



